



ლაღ. კრებამ, სხვათა შორის, მოიწონა ხუროთმოძღვრის ა. პ. შიშკევიჩის მიერ წარდგენილი პროექტი გამოფენის შენობისა.

\* ამ დღეებში პეტერბურგში გარდაიცვალა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად ნამყოფი ვ. კ. კარნოვიჩი.

\* 6 მარტისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიგან 50,000 მანეთის მოპარვის შესახებ.

\* ამ დღეებში ტფილისის კადეტთა კორპუსის მთავრობამ და ქალაქის მიწის მზომელმა დაათვალიერეს ვერაზიდ ადგილი, სადაც უნდათ კორპუსის ახალი შენობა ააგონ. განზრახვა აქვე კადეტთა კორპუსისათვის 10 დესეტინა მიწა შეიძინონ.

\* როგორც „ტვ. ფურც.“-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, ადგილობრივ ინტელიგენტთა წრეს განუზრახავს ქუთაისის ერთ-ერთს საშუალო სასწავლებელში დაარსოს სტიპენდია განსვენებულის პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სახელობაზედ.

\* 28 თებერვალს ქალაქის მოურავს მიუღია 36 მშობლისაგან ხელმოწერილი თხოვნა, რომელშიც ნათქვამია: ჩვენი შვილები გამოირჩევიან ნიკოლოზის საქალაქო სასწავლებლიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო; ჩვენ, როგორც ღარიბ ხელოსნებს, არა გვაქვს საშუალება გადავიხადოთ ეს ფული და გთხოვთ, ქალაქმა შეიტანოს იგი. როგორც აღმოჩნდა, ამ სასწავლებლიდან დაუთხოვნიათ სულ 100 მოსწავლე, რომელთაც ვერ შესძლეს სწავლის ფასის (16 მანეთი წელიწადში) გადახდა.

\* რადგანაც ბევრს სახლის პატრონს ჯერ კიდევ არ გადაუხდია მათზედ დარჩენილი დასაფასებელი გარდასახადი, ამისათვის ტფილისის ქალაქის გამგეობას უთხოვნია გუბერნიის მთავრობისათვის სასტიკი ზომები იქნეს მიღებული ამ გარდასახადთა მოსაკრებად.

\* როგორც „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, უმაღლესს მთავრობას გამოუქვეყნებია წესები, რომლითაც კერძო კაცებს დაეთმობათ თავისუფალი სახანონო მიწები სოხუმისა და ბათუმის ოლქებში.

\* გუშინ, 1 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე შარანის მამრეკველ განუფიქრებელს მოპარვებელ მასმართლედ ნაშეფის იერანიშვილის ძის კუბანისა, რომელსაც სამსახურის დროს დაუფერობის ჩადენა ედებოდა ბრალად. 1894 წლიდან 1899 წლამდე მისის უფურცადობით ზოგჯერ თხოვნილებად არა ეოფიდა დაკრული მარტები, რითაც ხანინას სულ 335 მან. 17 კაპ. უზარადა. სამოსამართლო პალატამ დასაშვად იტნო კუბანისა და დაადგინა: მას სასტიკი სუგვედური გამოეცხადოს და სამართლის ხარჯი კარდეს.

\* ნათესაუნი ამ უამად კიდევ ერთს გადაწყვეტს სწრაფად დასაშვად თაყსისაფარს არაკებენ. ამ თაყსისაფართან ბადი უნდათ გამართონ.

\* სკრა განათლების მინისტრს ნება დაურთავს დაწესდეს ფოთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში შტატ-გარეშე მუფო მასწავლებლის თანამდებობა. ამ მასწავლებელს ჯამაგირად 710 მან. შეეგება წელიწადში.

\* როგორც ჰიათურის სადგურიდან გვატყობინებენ, 28 თებერვალს, როდესაც მუშათა მატარებელი სადგურიდან გადოდა, დაშვად მატარებლისაგან მუშა სიმონ პიშტაფიდი, დაშვებულს მკურნალმა შემწეობა აღმოუჩინა.

\* ხვალ, 3 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატა, სხვათა შორის, განიხილავს საქმეს სიმონ ბელაშვილისას, რომელსაც დედის გალახვა ბრალდება.

\* ტფილისის მცხოვრებმა მიხილ მელიქოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ 28 თებერვალს ვილც ბოროტ-განზრახველმა სახლიდან მოპარა ორი მომგებიანი ბილეთი, 550 მან. ღირებულისა.

**თავ. რაფ. ერისთავის ვაჟის დაკრძალვა**

(წერილი თეფავიდან) 19—25 თებერვალს

ღიღებულნი მამულიშვილი თავ. რაფიელ ერისთავის ძე ერისთავი, როგორც უკვე უწყის მკითხველმა, გარდაიცვალა 19 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათსა და 30 წამზედ. გარდაცვალება იყო მშვიდი, უტანჯველი. უკანასკნელს დღეებში ავადმყოფს განუზორბლოვ გვერდს ახლდა მკურნალი ბ. ნ. დ. თ. ახვლედიანი. გარდაცვალების დროსაც იგი იქ დაესწრა. ბ. ნ. მ. ახვლედიანმა ავადმყოფს, რომელიც ამ დროს გვერდზედ იწვა, ხომ არას ინებებთ საქმელსაო. პასუხად მიიღო: „არაფერი არ მინდა“, ამ სიტყვების შემდეგ მცირედ თავი ჩაჰკიდა და განუტევა სული. პასუხის შემდეგ არ გასულა ერთი წუთი, რომ ავადმყოფმა, სრულს განებანზედ მყოფმა, უტანჯველად დალია სული.

ბ. ნ. მ. ვარლამ ბესარიონის ძემ კახიძემ, გარდაცვალებულის სიძემ, რომლის სახლშიაც იწვა ავადმყოფი, აცნობა ეს სამწუხარო ამბავი განსვენებულის ნათესავთ და ტფილისის რედაქციებს და ზოგიერთ ქალაქს, ამასთანავე აცნობა ადგილობრივ სამღვდლოებასა და მცხოვრებთ. საღამოს ლოცვების შემდეგ გარდახდომ იქნა პირველი პანაშვილი, რომელსაც დაესწრნენ ყველანი, ვის ყურადღისაც მიეღწია ამ სამწუხარო ამბავს. აქვე იქნა გამოცხადებული, რომ პანაშვიდი იქნება ყოველ დღე, დილის 11 და საღამოს 6 საათზედაო. პანაშვიდების გადასახდელად მოწვეული იყო ტაძრის სამღვდლოება: დილით მ. შიუკაშვილი, საღამოს დეკანოზი მ. ხელაშვილი. ამისდა მიუხედავად, პანაშვიდებს მთელი ადგილობრივი სამღვდლოება ესწრებოდა და აგრეთვე ახლო მდებარე სოფლების სამღვდლოება. შორეულ სოფლებიდანაც მრავალი მოდიოდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად. ხალხი ეროვნებისა და წოდების განურჩევლად მრავლად დადიოდა. სასწავლებლებმა ორჯერ გადაუხადეს პანაშვიდი თავისის სამღვდლოებითა და მგალობლებით. პანაშვიდივე გარდაუხდა სომეხთა სამღვდლოებამაც. ამნაირად მთელი კვირა დილით და საღამოს პანაშვიდებზედ დიდძალი ხალხი იკრებოდა, ხოლო სხვა დროს მიცვალებულს ჯერ-ჯერით უკითხავდნენ დავითნსა და სახარებას.

გარდაცვალების დღესვე ბ. ნ. მ. კახიძემ აცნობა დეპეშით ტფილისში, რომ განსვენებისა და დაკრძალვის დრო არ არის გამოცხადებული, მინდა ეს დრო შევეთანხმოთ გარდაცვალებულის პიტეისმცემელთა სურვილს და რჩევა მოგვეცითო. პასუხად მესამე დღეს მიიღო დეპეშა, რომ ტფილისის საზოგადოებას ჰსურს გარდაცვალებულის ტფილისში დაკრძალვა, თუ მისი ოჯახობა და ნათესაობა თანახმა იქნება, მთლად ხარჯსაც საზოგადოება თვით ჰკისრულობსო. ბ. ნ. მ. კახიძემ საოჯახო რჩევაზედ მიწვია კერძო კაცნიც და წაუკითხა დეპეშა. შეიქმნა ბაასი. უპირველეს ყოვლისა გამოირკვეულ იქმნა, რომ განსვენებულის მტკიცე სურვილი იყო, ქისტაურში დამასაფლავებო. დაინიშნა 25 თებერვლი განსვენების დღედ. მოწვეულ იქმნა გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდლო კირიონი.

23-ს საღამოზედ ბ. ნ. კახიძესაგან მოწვეული იყო 30-მდე სამღვდლო და სერო კაცი გახვეებისა და დაკრძალვის წეს რიგის შესამუშავებლად და აღმსარებელ კომიტეტის ამოსარჩევად. კომიტეტის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: თავ. იოსებ ჯანდიერი, თ. ნ. ალ. რ. ლევ. რ. ჭილ. ვახვახიშვილები, თავ. დ. ვ. სი. დამონ-ერისთავი, ბ. ნ. მ. დ. ცისკარაშვილი, ბ. ნ. ვ. ვ. საყვარელიძე და ი. ზ.

ის ოჯახი, სადაც ესვენა მიცვალებული, თელაველ ქართველ ქალთაგან მთლად ძაძით იყო შემოსილი. ძაძითვე შემოსილს ტახტზედ ესვენა გარდაცვალებულის კუბო და ზედ ედგა ქალთაგანვე შემოსილი ბალდახინი, რომელიც მორთული იყო დაფნის შტოებითა და ყვავილებითა. ბალდახინი იღვა ექვს ფეხზედ, სიმალით ერთი საყენი იყო, სიგამ და სიგანე კუბოს შესაფერი ჰქონდა. ყოველ კუთხიდან ჩამოშვებული იყო წვეთ-წვეთად თეთრი ლენტები წარწერებით. პანაშვილის შემდეგ, როცა სამღვდლოება წავიდოდა, მრავალი, ტალავარში მდგომნი, რადგანაც სამი ოთახი ვერ იტევდა ხოლმე დასწრეთ, შედიოდნენ და პატივსაც სცემდნენ მიცვალებულს.

მნახველი ამასთანავე კითხულობდა ლენტებზედ მსხვილის ასოებით წარწერილს სიტყვებს:

„ბეჩავ ხალხის გულში გქონდა საიმედო, მკვიდრი ბინა; მას სცდილობდი შენ ყოველთვის, რომ ნათელი მოგეფინა“.

„უკვდავება შენა, დაუფიქარო მგოსანო, და შენის სამშობლოსი ერთ-ერთზედ უწყვეტელს ჯაჭვით გადაშეშლია“.

შენ ხარ შემოქმედი სამშობლოსი სიყვარულის იმ დიდის ძალისა, რომელიც სამარადისოდ გზას გაუნათებს ყველა მამულიშვილსა“. და სხვ.

ყოველ დღე 22 თებერვლიდან დაწყებული ამკობდნენ გვირგვინებით მიცვალებულის კუბოსა; იყო გვირგვინები: თელავის მახრის თ-დ აზნაურთაგან (ვერცხლისა), ქ. თელავისაგან, სათავად-აზნაურო სკოლისა, თელავის წმ. ნინოს პროგიმნაზიის მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთაგან, სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან, სოფ. ყვარელის საზოგადოებისაგან, წინანდალის საუფლისწულო მამულიშვილთაგან, წინანდალისავე საუ-

ფლისწულო მამულის ქართველ მოხელეთაგან, თელავის სკენის მოყვარეთაგან, თელავის წიგნთ-საცავის წევრთაგან, სომეხთა ყმაწვილ ქალ-ვაჟთაგან, თიანეთის მკვიდრთაგან, ქისტაურის სოფლის საზოგადოებისაგან, მეხუთე კავკასიის ბატალიონის ქართველ აფიცრთაგან, თელავის კერძო სასწავლებლისაგან, კავკასის ქართველთაგან, თელავის მეწვირომნიეთა ამქრისაგან, იყალთოს თავადთაგან, თ-დი კიაზო ერისთავისაგან, ბ. ნ. ვ. ვ. კახიძისაგან, ძმათა ყახახიშვილებისაგან და სხვანი.

აი ზოგი წარწერანი: 1) „მოხარდ ყრმათ გუნდი ქვეთინებს: ჩვენო აღმზრდელი მამო“, 2) „მოდით და იხილეთ, სიკვდილი საზოგადო მოღვაწისა როგორ გარდიქცევს სიცოცხლედ“, 3) „ჩანგი შენი უხვი მასპინძელი იყო სამშობლო სცენისა“, 4) „შენი სიმთა ჟღერანი ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, ღრმად უნერგავდნენ სამშობლოს სიყვარულს“, 5) „შენ გააღვიძე ჩვენში სიყვარული ბეჭვდითი სიტყვისა“, 6) „შენ ხარ მოძღვარი, რომელმაც პატივი დასდევ მშრომელ მარჯვენას“ და სხვ. და სხვ. თელავის მახრის თ-დ აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა იოსებ ქობულაშვილმა გარდა ამისა, რომ სამწუხარო ამბავი აცნობა გუბერნიის თ-დ-აზნაურთა წინამძღოლს, თიანეთის მახრის უფროსსა და სიღნაღის მახრის თ-დ-აზნაურთა წინამძღოლს, თელავის მახრის ყველა სოფელშიაც მიწერა თ-დ-აზნაურთ დღე მიცვალებულის განსვენებისა და დაკრძალვისა, რომ მსურველნი დასწრებოდნენ.

25-ს დილით 9 საათზედ მოაწყდა ბ. ნ. კახიძის სახლს დიდძალი ხალხი. იგი შესდგებოდა სოფლებიდან მოსულთაგან, თელავის საზოგადოებისა და ამქრებისაგან. ამათში, როგორც იციან სხვა დროს, მოწვეული არაფინ ყოფიოა. ყველა მოვიდა თავისით. ზედტანებით მოვიდნენ მრავალი ცხენოსანი თიანეთის მახრისანი. ესენი იყვნენ ფშავლები და თუშები. ხევსურები ქისტაურში ჩასულიყვნენ. თიანეთიდანვე მოვიდა მახრის უფროსის თანაშემწე ბ. ნ. ფურცელაძე. შეიკრიბნენ თელავის ყველა უწყების მოხელენი: უფროსნი და უმცროსნი.

თელავის წმ. ნინოს პროგიმნაზიის მოსწავლეთ დაიჭრეს აღმოსავლეთი მხარე ბალისა გზის პირას, იმათ შემდეგ ჩამწკრივდნენ სამრევლო სკოლის მოსწავლე ქალები, მათ შემდეგ ამავე სკოლის მოსწავლე ვალები, შემდეგ დაიჭრეს იდგილი ქ-ნ ეგოროვის კერძო სასწავლებლის მოსწავლეთ, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლების მოსწავლეთ და სხ.

ყველაფერი გაწესირებებული იყო, როცა ათი საათის 45 წამი გავიდა, შეუდგნენ გამოსვენებას. სახლიდან კუბო გამოიტანეს: თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. ქობულაშვილმა, გენერლებმა ვლადიმირ და დიმიტრი მაყაშვილებმა, კავკასიის მეხუთე ბატალიონის კამანდირმა, მახრის უფროსმა ბ. ნ. მ. განსვენებმა, სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. ნ. მ. სოკინმა. კუბოს თავი მიჰქონდათ ქალებს. აქვე მიდიოდა სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი ბ. ნ. ელიზბაროვის ლოტბარობით. მგა-

ლობებს მისდევდა სასულიერო მემდევ მიჰქონდათ კუბო მხრებზედ შედგმით. კუბოს მისდევდნენ ქირისუფალნი: ორი ქალი განსვენებულისა, სიძე და სხვა ნათესავნი, მესამე ქალი და სიძე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრნენ. ქირისუფალნი მახლობლად მიდიოდა თავდა-აზნაურობა და დეპუტატები: ყვარლისათ-ნი იური ქავჭავაძე და ალექსანდრე მაყაშვილი; „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ წ. მამინაიშვილი, სათავად-აზნაურო სკოლისა ბ. ნ. დ. ახვლედიანი, ს. ქისტაურის გლეხთაგან გლეხნი, თიანეთის მკვიდრთა—ბ. ნ. ფურცელაძე, ს. ალენის საზოგადოების—ცხეოსანნი სულ წინ მიდიოდნენ. მთელი გზა იყო მოფენილი ღვით. თელავის წიგნთ-საცავის წინ მთელი ქუჩა დაფნის ფოთლით იყო მოფენილი. პროცესიამ გაიარა ბალის წინ დიდი ქუჩა, ჩაიარა სომეხთა ტაძრის გვერდზედ, შევიდა გალავანში დასავლეთი კარებით, გაიარა ეზო წმ. ნინოს დედათა პროგიმნაზიისა და შევიდა ტაძარში დასავლეთის კარებით. ვიდრე მიცვალებულს ტაძარში შეასვენებდნენ, მოსწავლენი მეორე კარებით ეზოში დამწკრივდნენ ორ მხარეს. საზოგადოებამ აავსო ტაძარი, ტაძრის ეზო, ბაღი და ამათ შუა ქუჩები. ტაძრის კარებებს იცავდა ორი ბოქაული და სრული წესიერება იყო დაცული.

წირვაზედ გალობდა სასულიერო სასწავლებლის ქართული გალობის გუნდი ბ. ნ. ელიზბაროვის და სამრევლო სკოლის მგალობელთა გუნდი ბ. ნ. ჩიკაძის ლოტბარობით.

ნადიკველი (შემდეგი იქნება).

**აბრეშუმის შინის თელის მოგზადების შესახებ.**

პირველი წერილი ნუგეზინისათან. (შემდეგი \*)

ქიის პირველი ავადმყოფობა, რომელიც სწავლულებს გამოუკვლევიათ, არის მუსკარდინა. 1835 წელს სწავლულს პასისა შეუნიშნავს მუსკარდინის სოკო, რომელიც ქიის უჩნდება და თვლითაც შეინიშნება ქიის ბოლოზედ; გაუჯდება ტანში და ბოლოს იმორჩილებს, ჰკლავს. მუსკარდინით მკვდარი ქია გამაგრდება და ფერად კირში ამოსვრილს დაემზავსება. სწორედ ეს თეთრი მტერი არის მისი გამავრცელებელი თესლი, რომელიც მილიონობით იფანტება პავრში და წლიდან წლამდის თავს ინახავს სააბრეშუმო სახლის კედელ-ქურეში და, თუ ღონისძიება რომ არ იქმნა მიღებული, ისევე გამოაჩნდება ქიის მეორე წელს და ასე გადადის ერთი მოდგიდან მეორეზედ. ქიის თესლით ეს ავადმყოფობა არა ვერცულდება. პასტრის ამ ავადმყოფობაზედ არა უწერია-რა, რადგანაც იგი ქიის უმთავრეს ავადმყოფობად არ მიაჩნია.

1849 წელს სწავლულს გერმან-მანგვილს ავადმყოფ ქიის ავებულე-ბაში პაწაწა მიკროსკოპული ცხოველები ანუ „კორპუსკულები“ პირველს შეუნიშნევია, მაგრამ მას არ ეგონა, თუ ეს ცხოველები შეადგენდნენ ახალ ავადმყოფობის გამოსაქვლევს ნიშნებს, იმ ავადმყოფობისა, რომელსაც შემდეგში ჰებრანს უწო-

\*) იხ. „ივერია“ № 47.

ის. იმას ეს „კორპუსკულები“ მა...

1850 წელს იტალიელმა სწავლულ...

1853 წელს ზევით დასახელებულ...

1856 წელს იტალიელმავე ბუნე...

1859 წელს დოქტორმა კარლო...

კარლო ვიტტალინი, რომელიც...

სლისას, რომლისაგანაც იყო აღე...

ეს სწავლულები, რომლებიც კი...

6. წ. (დასასრული იქნება)

რუსეთი

განზრახვა აქვთ 1902 წელს მოს...

— ღამნარკა ადუძრავთ, მოსკოვის...

— გზათა სამინისტროს გადაწყვეტ...

— ამავე სამინისტროს გარდაწყვეტ...

— ამ მარტში მოსკოვის სამოსწავ...

უცხოეთი

ინგლისი. ჩვესს შეითხველებს ეს...

სიტუაციის წარმოქმნის ნება მიეც...

„აქ მე კარმა ჩივილი არა მაქვს...

უფლებების შექმნა და დასახელებ...

უფლებების შექმნა და დასახელებ...

უფლებების შექმნა და დასახელებ...

მოითხოვდა, იქნება მაშინ ამის დაწვე...

კამათში ამათ გარდა ბევრმა სხვა...

სასამართლოს მართან

ქუთაისის გუბერნიის, შორაბ...

საჩივარი აღეძრათო. სასამართლო...

შურნალ-გაზეთები

(ამოკრებილი ამბები)

ვარსკვლავთ-მრიცხველებმა ცაში ახალი...

იტალიაში წლეულს ძალიან სიცივე...

ერთ გაზეთს საყურადღებო ცნობები შე...

Table with 2 columns: Name and Amount. Includes entries like შურნალ-გაზეთები, შურნალ-გაზეთები, შურნალ-გაზეთები.

ამას წინადა გერმანიაში თავი მოიკლა...

რამაში შეტანილია ლიტერატურისა, მხატვრობისა, სკულპტურისა, ფილოსოფიისა და სხვადასხვა მეცნიერებათა ისტორიისა. ამ კონგრესზედ დასასწრებლად უკვე 900 მეცნიერი ჩაწერილა. ვრცელი პროგრამა ამ კონგრესისათვის იმით გამოიხატა, რომ მეცნიერთა უნდათ განვიხილოთ მე-19 საუკუნის ანგარიში გაუწიონ. კონგრესი სამ სექციად იქმნება: გეოგრაფიკული, პირველი სექცია ისეთს საგნებს განიხილავს, რომელთაც თეორიული და მეტოდოლოგიური ხასიათი აქვთ. მეორე სექციის საგანი ძველი ისტორია იქმნება; მესამე სექციისა—საშუალო საუკუნეებისა და ახლის დროის ისტორია. ამას გარდა თითო სექცია მცირე სექციებად იქმნება დაყოფილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 თებერვალი

**პეტერბურგი.** 28 თებერვალს გარდაიცვალა სინოპისა და სევასტოპოლის გმირი, გენერალ-ადიუტანტი პეტრე ლევინი.

**ალუშტინისკანი.** უკანასკნელს დღეებში აქ მოვიდნენ ბურები, სამხრეთში ტყვედ დაქვრივნი, და აგრეთვე საქონელიც ბევრი მოპრეკეს იქიდანვე. პლუმერის ჯარმა 28 ტყვე მოიყვანა. კიდევ მოვიდა 150 ტყვე.

**ლონდონი.** ზღვათა ხარჯთა აღრიცხვით 1901 და 1902 წ. აღდგენილ იქმნება კიდევ სამი ჯავშნიანი გემი, ექვსი ჯავშნიანი ხომალდი, ორი ხომალდი მე-სამე ხარისხისა, ხუთი ნაღმის მიმტანი გემი, 10 სხვა გემი, 5 წყლის ქვეშ მოსიარულე გემი და 48 გემი სხვა და სხვა საზოგადოებისა შეიარაღებულ და გამოყენებულ იქმნება საქმეში.

**ლონდონი.** ცხარე მასი გამოიწვია პალატაში გენერალ კოლილილის დათხოვნის საქმე. დ გლასმა წინადადება შეიტანა, გამოძიება იქმნას დანიშნული. ეს წინადადება არ იქმნა შეწყნარებული.

**პეკინი.** ვალდებულნი აუწყა ჩაფფის, როგორი განკარგულება მისცა საზაფხულოდ მისს განკარგულებაში მყოფს ჯარს. ათასი კაცი ინგლისელი უნდა წავიდეს საზაფხულო სასახლის დასაქვრად, მცირე რაზმი—სანადირო პარკის დასაპყრობად, ორი ათასი—დან-ყოუს და ბეიდანის მიდამოების დასაპყრობად; გერმანია იმ ჯარს, რომელიც ესლა ჰეინში იმყოფება, ჰგზავნის სოფელში, რომელიც საზაფხულო სასახლის ჩრდილოეთ-დასავლეთით იმყოფება, მთებში, რადგან გერმანიის ჯარი, პეტინფუში მყოფი, დასავლეთით იქმნება მთებში დაყენებული; იაპონელები და ავსტრიელები პეკინში დარჩებიან. ვალდებულნი ამბობს, რომ ჯარის ასე განაწილებით უწყსობები აცილებულ იქმნება.

1 მარტი.

**მიუნხენი.** ავსტრიის იმპერატორი ვენაში წავიდა.

**ლონდონი.** ოფიციალურად კაპიტალში 18-დგან 24 თებერვლამდე ახლად ავად გახდა ქირით 50 კაცი, რომელთაგანაც 8 გარდაიცვალა.

**ინდონეზიისი.** შტატების პრეზიდენტად ნამყოფი გარისონი გარდაიცვალა.

**ჩიკაგო.** გეგმი განუცხადა კორესპონდენტს, რომ მე იმ აზრისა არა ვარ, ვითომ რუსეთის შაქარზედ გარდასახადის შეწყვეტამ სატარიფო ბრძოლის შიში დაჰბადოსო.

**ლონდონი.** საგანგებო კრება მოხდა მინისტრთა საბჭოსი, საჩქაროდ მოწვეულისა. ხმა დადის, რომ ერთი ამისი მიზეზთაგანი კიტჩენერს და ბოტას შორის მოლაპარაკების აუკარგიანობაო.

**ბრიუსელი.** ელჩმა ლეიქსმა მიანდო გაზეთის კორესპონდენტს განაცხადოს ფორმალურად, რომ ვიცე-პრეზიდენტ შარლ ბურგერთან არავითარი გარდაწყვეტილება არა ყოფილა გაგზავნილი ბოტასთან მოლაპარაკების გამო, რის შესახებაც კრიტიკურად არა უწყის რაო.

**პეტერბურგი.** მეორე შინაგან მომგებიან სესხის ბილეთების მე-70 ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ხედა: 200,000 მან.—930/27; 75,000მან.—2,371/13; 40,000 მან.—19,600/17; 25,000 მან.—1,374/50; 10,000მან.—14,465/44; 1,920/22; 116,516/29 (?); თითოს 8,000 მან.—16,228/33; 1,387/6; 1,540/16; 6,205/42; 4,626/1; თითოს 5,000 მანეთი.—14,097/18; 2,026/8; 16,824/46; 6,211/16; 12,734/25; 16,276/50; 1,184/39; 4,811/42; თითოს 1,000 მან.—7,067/31; 15,433/6; 6,727/39; 10,398/44; 12,055/36; 1,586/4; 69,559/10; 17,040/1; 9,234/40; 10,561/37; 17,092/35; 6,852/28; 4,715/30; 8,224/31; 5,722/22; 8,407/20; 15,859/15; 12,539/13; 14,044/36; 10,384/36.

## წარული რედაქციის მიხარით.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ: 1) ქ. ტფილისში მცხოვრებს კავკასიური ნივთების პატრონს ბ.ნ.ს დათიკო ნიკოლოზის ძეს ბარბაქაძეს, რომელმაც წარსულის 1900 წლისა და ამა მიმდინარე 1901 წლის განმავლობაში თავისი ხარჯით ჩემდამი რწმუნებულს დაბლა-საქარის სამრეგლო სკოლას ვაზეთი „ივერია“ გამოუწერა; 2) სადგ. ველახში მოსამსახურეთ, რომელთა საფასითაც ჩვენს სკოლას 1900 წლის განმავლობაში საყმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“ ეგზავნებოდა; 3) „კვალის“ რედაქციას, რომელმაც წარსულის 1900 წლის განმავლობაში თავისი ვაზეთი ოთხ მანეთად დაგვითმო და 4) სადგ. შორაპნის ტელეგრაფის მოხელეს ბ.ნ.ს ვალაქიონ კვიციანიძეს, რომელმაც თავის ნაცნობთა შორის ფული მოპკრიბა და ჩვენს სკოლას ამა მიმდინარე 1901 წლის განმავლობაში ვაზეთი „Новое Обозрение“ გამოუწერა. სოფ. დაბლა-საქარის სამრეგლო სკოლის მასწავლებელი იოსებ ბარბაქაძე

## საამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

3 მარტი:

სიკო სულიკაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-2 ნაწილის 1484 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სიმონ მახარაძისა—ჩემად არაყის გამოხდა ბრალდება.

ვიქტორი ზვიადისა—ყაჩაღობა ბრალდება.

სიმონ ბელაშვილისა, რომელსაც დედის გალახვა ბრალდება.

6 მარტი.

მიხეილ ცინცაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-354 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

— ივლიტე ყიფიანისა, სასჯ. დებ მე-1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

ლევან ბერაძისა და სხვ., რომელთაც ყაჩაღად გაფარდნა ედება ბრალად. სოლომონ და სხვა ორჯონიძეებისა და შოშიტაშვილისა, რომელთაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან 50,000 მანეთის მოპარვა ბრალდებათ. ივლიანე მგელაძისა—სასჯ. დებ. მე-294 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

## ბანკსა და ბანკსა

### აბრეშუმის თესლი

„მაკრომილის“ და „ბარტა და ახსანაბოზის“ ფირმისა თეთრის ბანდეროლით იყიდება სათავად-აზნაურო ქარვასლაში. ფრანგთა კანტორაში, № 127, სასახლის ქუჩაზედ. (2-47-1)

## ტფილისის ქალაქის გაგეობა

აცხადებს, რომ 3 მარტს ამა 1901 წლის, ნაშუადღევს 1 საათზე, გაგეობისავე თანადასწრებით, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გიცემა უწმინდურების მილის გამართვის საქმე ამალღების ქუჩაში მრუდ ვიწრო-ქუჩაზედ არუცევის სახლამდე, სიგრძე 50 სატენია, სამუშაო 1110 მანეთისაა.

მსურველთა შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3-5-1).

# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 თებერვლისათვის 1901 წლისა.

ა მ ი რ ი ა

პ ა ს ს ი ვ ი.

	მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)	18387	97
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში	120	88
III. საბანკო კანტორაში	215	66
IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფ.	1000	—
V. სარგებლიანი ქალ., საზოგადოების საკუთვნონი.	2060	76
ა) უზრუნველ-ყოფილინი:	3740	—
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილინი:	—	5800 76
VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი.	3904	34
VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	261565	27
VIII. განაღდება %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.	2250	35
IX. გირაოთი გაცემული სესხი:		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ.	6982	60
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	28507	—
გ) საქონელზედ	16388	13
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	10406	—
X. დასაბრუნებელი ხარჯი	99	76
XI. მოწყობა-მომართვა	2129	02
XII. კორესპონდენტები:		
ა) იმათს ანგარიშით (loro).	9796	38
XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი	163	31
XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები	250	82
XV. გარდასაცემი თანხა	512	65
XVI. მიმდინარე ხარჯი	2239	67
<b>ს უ ლ</b>	<b>370720</b>	<b>57</b>

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარა საზოგადოების 817 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან	84576	—
II. სათადარიგო თანხა	4046	15
III. შემოტანილი ფული:		
ა) მიმდინარე ანგარიშით	98719	11
ბ) ვადით	139774	—
გ) უვადოდ	120	—
IV. გარდასაცემი თანხა	2201	41
V. გარდასახდელი სარგებელი	1821	07
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	—	15
VII. წვერთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §-ის თანახმად.	300	—
VIII. კორესპონდენტები:		
ა) ჩვენის ანგარიშით (nostro)	4004	96
IX. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	22100	—
X. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებანში:		
ა) თამასუქების უზრუნველ-ყოფით	3	06
ბ) %-იან ქაღალდებ. უზრუნ-ყოფით.	1000	76
XI. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	96	53
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა	2611	54
XIII. მიღებული სარგებელი	2326	90
XIV. მოგება და ზარალი 1901 წლისა	1	—
XV. წმინდა მოგება 1900 წლისა	7003	53
<b>ს უ ლ</b>	<b>370720</b>	<b>57</b>
პასუხის-მგებლობა 817 წევრისა 10%-იან შემოსავლან გარდ.	761184	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება.	4900	—
თამასუქები საკომისიოდ	1887	02

პეტერბ. სამკურნალო-გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლოფი 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



**ახალი სუშალეა**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვირსის რქა“**

სახის გასანახებლად და გასათვრებლად. „კვირსის რქა“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუქებს, არბილებს კანს. **ფ.ს.ი შველასათვის**

**ხ.ლ.მისაწვდენია:** დიდი ქიტი — 2 მან.; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფუტერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაგზავნებთ. (100—211—40)